ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

№ 2447 სამშაბათი, 23 მარტი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2447

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

გაზეთის ნომერი ღირს 3 კაპ. სურათებიანის დამატებით 5 კაპ.

რედაქციისაგან

ვისაც ჟურნალ-გაზეთის ფული სრულად არა აქვს შემოტანილი, რედაქცია სთხოვს 1 აპრილამდე უეჭველად გამოგზავნოს ხვედრი შემოსატანი, რომ გამოცემათა გზავნა არ მოესპოთ.

კახეთის მევენახეთა ამხანაგობა

„კახეთი"

აცხადებს, რომ ამ თვის 15-დან ღვინო ისყიდება

ბოთლი 20 კაპ., 25 კაპ., 30 კაპ. და მეტად.

უმთავრესი საწყობი და მაღაზია: ერევნის მოედანი თამამშოვის ქარვასლა. განყოფილება: მიხაილოვსკი პრ. სლივიცკის სახლში № 81. ისყიდება აგრეთვე ყველა საუკეთესო გასტრონომიულ მაღაზიებში.

ქ. ქუთაისში გაიხსნა საზოგადოების განყოფილება სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის „კოლხიდა"-ს საწყობში და მის ხელმძღვანელობით.

გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება „კახეთის" ფირმის იარლიკებს, რადგანაც თვალის ასახვევად ძლიერ არის გავრცელებული სხვა-და-სხვა მიმგზავსებული იარლიკები. (11—6.—1)

ტელეფონი № 741. საფთიაქო საქონლით მოვაჭრე ტელეფონი № 741.

ფარმაცევტთა ამხანაგობა.

(სასახლის ქუჩის და გოლოვინის პროსპექტის კუთხე „სევერნი ნომრების" ქვეშ).

სააღდგომოდ ჩვენებური საღებავი კვერცხისა: ქიაფერი, ენდრო, ბაყაყი და აგრეთვე ვარდის და ლიმონის ზეთი, ვანილი, ზაფრანა, ჯავრის ყვავილი, ჰილი და სხვა-და-სხვა.

ადრესი ფოსტა ტელეგრაფისა: Тифлисъ Фармацевтика. (4—6.—1)

აღდგომის მოახლოებისა გამო

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის

ავეჯეულობათა სავაჭროში

დანიშნულია

იაფობა

მყიდველს 5% დაეთმობა ჩვეულებრივ ფასებიდან, მიხეილის ქუჩა, სახლი ექიმის კარაპეტიანცისა № 97. (6. 5—3)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11 ს.—12-მდე.

მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათამდე.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ.. ოთხშაბ. და პარასკ. 11—12. საათ.

არ. ვ. სოგოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

პ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

გ. ვ. სოგოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—შინაგ., ბავშვ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ქუთაისში

ექიმი ს. ი. ბეგიშვილი

იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთიშვილისა.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—3 საათ., საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა.

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7საათამდე· ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიმარმაკლიძისა.

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს გედევანიშვილის სამკურნალოში დილის 9—10 საათზე სახლში 10—4 საათამდე, კვირაობით 10—2-მდე.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ექიმი

ბესარიონ ა. პოპოვი

სწამლობს ყურისა, ყელისა და ცხვირით ავადმყოფებს ორშაბათის გარდა ყოველ დღე 5—7 საათამდე. რეუტოვისა და ავჭალის ქუჩების კუთხის სახლი (რეუტ. № 26). (30—6.—5)

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123 (თვ.—0—38)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 მარტი.

სევასტოპოლი. 21 მარტს, დილის 11 საათზე, რუსეთის საზოგადოების გემით „სვ. ნიკოლაი"-თ მოვიდნენ „ვარიაგ"-ის მეზღვაურნი. როდესაც გემი რეიდში შემოვიდა, ზარბაზნები დასცალეს და რეიდში მდგომ ესკადრის მოსამსახურენი ბორტებზე გამწკრივდნენ და გემს „ურა"-ს ქუხილით მიეგებნენ. როდესაც „სვ. ნიკოლაი" დადგა, გემზე ავიდა შავი-ზღვის ფლოტის მთავარი უფროსი, მიესალმა მეზღვაურთ და წარმოსთქვა პატრიოტიული სიტყვა, რის შემდეგაც ვიცე-ადმირალმა სკრიდლოვმა გადაჰკოცნა თავისი თანამოსამსახურე კაპიტანი სტეპანოვი და გაუცვალა წმ. გიორგის ორდენის ჯვარი. გემიდან ჩამოსვლისას გმირ მეზღვაურთ მიეგებნენ ქალაქის გამგეობის წარმომადგენლები. ამასთან ქალაქის მოურავმა მისალმების შემდეგ პურ-მარილი მიართვა. მოედანზე, ადმირალ ნახიმოვის ძეგლის წინ, გადახდილ იქმნა პარაკლისი, შემდეგ მეზღვაურნი მუსიკით გაემგზავრნენ საგანგებოთ მორთულ ქუჩებით მე-34 ფლოტის მეზღვაურთა ყაზარმაში, სადაც დიდის ამბით დახვდნენ მეზღვაურნი. მოსული აფიცრები ქალაქის გამგეობამ მოათავსა საუკეთესო სასტუმროებში, ამასთან ქალაქმა იკისრა აფიცრების შენახვა სევასტოპოლში ყოფნის დროს. ბულვარები, ქუჩები, მოედნები, სახლის სახურავები და აივნები დილიდან გაჭედილია ხალხით; ხალხის აღფრთოვანებას საზღვარი არა აქვს.

ბერლინი. „ფოსიშე ცაიტუნგ"-ის სამხედრო თანამშრომელს ჩინჯუსთან მომხდარი შეტაკება ყურადღების ღირსად მიაჩნია; ამ ბრძოლის დროს იაპონელთა ესკადრონების მოქმედება ახალი საბუთია იმისა, რომ იაპონიის კავალერია ძლიერ სუსტიაო.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

22 მარტი

ვლადივოსტოკი. ნიკოლსკ-უსურისკში მოვიდა რუსეთის საზოგადოების წითელის ჯვრის რწმუნებული გრაფი ბობრინსკი. დღეს მოელიან მთავარ რწმუნებულს თავად ვასილჩიკოვს. იმის განკარგულებაში გადავა გლეხთა გადასახლების მმართველობის სადგომი, რომელიც ამ ჟამად თავისუფალია შორეულ-აღმოსავლეთში გადასახლების საქმის გაუქმებისა გამო. ვასილჩიკოვის მოსვლისათანავე შეუდგებიან დაცარიელებულ ყაზარმების საავადმყოფოებად გადაკეთებას.

ბლაგოვეშჩენსკი. ჯარის-კაცთა ოჯახებისათვის მზრუნველი კომიტეტი სთხოვს იმათ, ვინც მოსამსახურე ქალებისა ან ბავშვების მუშაობას საჭიროებს, მიჰმართონ გუბერნატორს.

ციციკარის სამხედრო კომიტეტმა დეპეშით აცნობა ამურის გუბერნატორს, რომ ციციკარში მშვიდობით მოვიდნენ ბლაგოვეშჩენსკიდან გამოგზავნილი იაპონელებიო. იაპონელებმა გვთხოვეს, გვაცნობეთ, როგორ არის ბლაგოვეშჩენსკში დარჩენილი იაპონელი ქალიო. შაბათს იაპონელები მატარებელში ჩასხეს ირკუტსკში გასაგზავნად.

სევასტოპოლი. დილას მოვიდა გემი „ნიკოლაი" „ვარიაგ"-ის გმირებით. ქალაქში დიდი სადღესასწაულო ამბებია.

ბერლინი. გაზეთები არაფერ მნიშვნელობას არ აძლევენ ჩიონჯუსთან მომხდარ ბრძოლას. „ფოსიშე ცაიტუნგ"-მა და სხვა გაზეთებმა აღნიშნეს, რომ ამ ბრძოლამ მხოლოდ იაპონელთა სისუსტე გამოააშკარავაო. „ფრანკფურტერ ცაიტუნგ"-ის აზრით, ამ ბრძოლას რუსებისათვის მხოლოდ იმ მხრივ აქვს მნიშვნელობა, რომ რუსებმა გაიგეს, იაპონელთ აზრად ჰქონიათ ნაპირ-ნაპირ იარონ.

სეული. კვირას ჩემულპოში გადმოსხეს ცხენოსანთა პოლკი, რომელიც რკინის გზით სეულს გაიგზავნება.

ადმინისტრაციის წარმომადგენლები ჩრდილოეთ-კორეიდან სეულს გაიქცნენ. იაპონიის ელჩმა სთხოვა მთავრობას, უბრძანე გაქცეულ მოხელეებს უკან დაბრუნდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია იმათ წასვლას უწესოებანი მოჰყვეს მართვა-გამგეობაშიო.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

სამხედრო მოქმედება. ჩონჩჟუსთან 15 მარტს მომხდარ ბრძოლის თაობაზე „რუსსკია ვედომოსტი"-ს სამხედრო თანამშრომელი ბ-ნი ს. კ. სწერს: „ლაშქრობის დროს ამნაირი მცირე შეტაკება ყოველთვის მოუვათ ხოლმე მოწინავე რაზმებს. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ყველაფრიდან სჩანს, რომ ამ შეტაკებას არავითარი სტრატეგიული მნიშვნელობა არ ექნებაო". ბ-ნი ს. კ., სხვათა შორის, შეჰნიშნავს, ეტყობა, ბრძოლის დროს იაპონელებს უმთავრესად რუსის აფიცრებისათვის უმიზნებიათ თოფი; ჯარის-კაცი 15 მოუკლავთ და დაუჭრიათ და აფიცერი კი 4 დაუჭრიათ მძიმეთაო. როგორც ვიცით, ერთი დაჭრილი აფიცერი მეორე დღესვე გარდაიცვალა.

ჩონჩჟუ და კასანი, სადაც 15 მარტს ბრძოლა მოხდა, ჩრდილოეთ-კორეიაში მდებარეობენ იჩჟუს გზაზე. ჩონჩჟუ სამაზრო ქალაქია, მდ. იალუს ქვემოდ მდებარეობს, 89 ვერსტის მანძილზე. ეს ქალაქი პატარა მდინარის ნაპირასაა აშენებული, ოთხსავ მხარეს $2^1/_2$ საჟენი სიმაღლე ქვის კედელი აქვს შემოვლებული. ჩინეთ-იაპონიის ომის დროს ეს ქალაქი მეტად დაზიანდა. 1894 წლამდე ჩონჩჟუში ათას სახლზე მეტი იყო, ომის შემდეგ კი მხოლოდ 100 სახლი დარჩა. ჩონჩჟუსა და კასანს შუა ორი პატარა მდინარე: ტალსუგანი ტოკტორიგანი ჩამოდის და მაღალი მთები დევს. კასანი სამაზრო ქალაქია, მდინარე ტოკტორიგანის ნაპირას მდებარეობს. ანჩჟუდან კასანამდე 23 ვერსტია („რ. ვ.").

ჩონჩჟუსთან მომხდარ ბრძოლის თაობაზე სეულში ამბობენ, გენერალმა მიშჩენკომ იჩჟუსკენ დაიხიაო. იაპონიის მოწინავე რაზმები ეხლა იჩჟუს 60 კილომეტრის მანძილზე მიუახლოვდნენო („რ. ვ.").

სეულიდან იუწყებიან: იაპონიის ჯარი მეტად საიდუმლოდ მოქმედებს. პინიანში ყველა სახლი ჯარის-კაცებითაა გაჭედილი; იქ მაინც მეტად ჩინებული წესი და რიგი სუფევს („რ. ვ.").

„დაილი ქრონიკლ"-ს დეპეშით ატყობინებენ შანჰაიდან: პაკ-პიონსა და ანჩჟუში 100 ათასი იაპონელი ჯარის-კაცი დგას. დანარჩენი ჯარიც იქვე მოიყრის თავსა („ბ. ვედ.").

იაპონიის პრინცები პინიანს მივიდნენ და მთავარ შტაბის სამსახურში ჩაირიცხნენ. ჯარის-კაცები დიდის აღტაცებით მიეგებნენ პრინცებს. იაპონელი აფიცრები ჯარის-კაცებს ბეჯითად არიგებენ, კარგად მოიქეცითო („რ. ს.").

ერთს ინგლისელ კორესპონდენტს იაპონელი ჯარის-კაცები უნახავს ჩრდილოეთ-კორეიაში. ჯარის-კაცებს უამბნიათ, აქაურმა უვარგისმა გზებმა საქმე გაგვიჭირაო. გენზანში (აღმოსავლეთ-კორეიაში) 8 ათასი კაცი გადავედით ზარბაზნებითა და ინგტონამდე (გენზანიდან 75 ვერსტის მანძილზე მდებარეობს) ხუთი დიდი მთა გადავიარეთო. ოთხ რაზმად მივდიოდით. ყველაზე მეტად დიდი თოვლი გვიშლიდა სიარულს. მასიურიანის მთაზე (ამ მთას 2,700 ფუტი სიმაღლე აქვს), რომ მივდიოდით, თოვლის ზვავი ჩამოწვებოდა ხოლმე და საქმეს გვიჭირებდა. ამ უხეირო გზამ მეტად მოგვღალაო.

ჰფიქრობენ, აღმოსავლეთ-კორეიაში (გენზანში) გადასული იაპონიის დივიზია ანჩჟუსკენ წამოვაო. ხმა დადის, როცა ეს დივიზია მთებს გაივლის, გენერალი ლინევიჩი დიდის ჯარით დაეცემა და ეცდება, იაპონელებს ისევ უკან გენზანსაკენ დაახევინოსო („რ. ვ.").

ფრანგულ გაზ. „მატენ"-ს დეპეშით ატყობინებენ: რუსეთის სამხედრო სამინისტროს ცნობა მოუვიდა, იაპონელები ლაოდუნის დასავლეთ ნაპირას, ჩინეთის ნეიტრალურ ადგილზე ჯარის გადაყვანას აპირებენო. იაპონელებმა კორეიაში ჯარის გადაყვანას თავი გაანებეს. ამბობენ, იქნება პოსიეტის ბუხტაშიაც გადაიყვანონ ჯარი, მაგრამ უმთავრეს ყურადღებას კი ლიაოდუნის ნახევარ კუნძულს მიაქცევენ. რადგან ლიაოდუნის დასავლეთ ნაპირას ჯარის გადასხმა მხოლოდ ცინვანდაოსა და სენიახჩენში შეიძლება, იაპონელებიც სწორედ ამ ადგილებში გადაიყვანენ ჯარსაო. აქ რომ გადავიდნენ, იაპონელები მეტად მნიშვნელოვან ადგილებს დაიჭერენ, რუსეთის ჯარს ფრთიდან მოექცევიან და ამავე დროს პეკინის გზაც იმათ ხელში იქნება. ჩინეთის მთავრობისა და უკეთ რომ ვსთქვათ, ჩინეთის გენერლებისა რუსეთის მთავრობას ბევრი არა სწამს-რა; პეტერბურგში ჰფიქრობენ, იქნება ჩინელმა გენერლებმა თავიანთ მთავრობის ბრძანება არად ჩააგდონ და იაპონელებს დახმარება გაუწიონო. ამიტომ რუსეთის სამხედრო მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ ჩინეთის ჯარის მოქმედებას ბეჯითად თვალი ადევნონო („რ.").

„დეილი მეილ"-ი იუწყება: იაპონელები ცინვანდაოს ახლო ზღვის სიღრმესა ჰზომავ-

ბიბლიოთეკა

დნენ. ეტყობა, ამ ადგილას ჯარის გადაყვანას აპირობენ („ნ. ვ.“).

იტალიური გაზ. „ტრიბუნა“ იუწყება: იაპონიის 25 სატრანსპორტო გემმა ჯარით 14 მარტს პორტ-არტურის სამხრეთით გაიარა და ლაოდუნის ნახევარ-კუნძულის დასავლეთისაკენ წავიდაო („ნ. ვ.“).

„ბირჟევი ვედომოსტი“-ს დეპეშით ატყობინებენ ლონდონიდან: „სენჯემს გაზეთი“ იუწყება, ინგლისის მთავრობამ აღიარა, ნიუჩუანი სამხედრო მოქმედების წრეში მდებარეობსო, ამიტომ ორმავე მეომარმა სახელმწიფომ ნიუჩუანში ინგლისის ქვეშევრდომთა სიცოცხლისა და ქონების დასაცველად შესაფერი ღონისძიება უნდა მიიღონო. ამ საქმეში ინგლისს გერმანია, საფრანგეთი და შეერთებული შტატებიც მიემხრნენ.

ფრანგულ გაზ. „ჟურნალ“-ის საგანგებო კორესპონდენტი იუწყება ნიუ-ჩუანიდან: მდინარე ლიაოხეზე ყინული მთლად გალხვა. ნიუჩუანში მცხოვრები ინგლისელები ამტკიცებენ, იაპონელები უსათუოდ დაეცემიან ნიუჩუანს და აქ დიდი ბრძოლა მოხდებაო. რუსებმა 11 მარტს ბრძანება გასცეს, რომ სავაჭრო გემები ინკოუს რეიდზე ხმელეთიდან 9 ვერსტის მანძილზე გაჩერდნენ ხოლმე და ნავთ-სადგურში მხოლოდ დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 6 საათამდე შემოვიდნენო („პ. ვ.“).

„ნოვოე ვრემია“ იუწყება: ამერიკის კანონირ გემს „ელენა“-ს ნიუჩუანში ბრძანება მოუვიდა, ნიუჩუანიდან შანჰაის წამოდი, თუ ყინულმა არ დაგიშალაო. ინგლისის კანონირ ნავსაც ასეთივე ბრძანება მოუვიდაო.

„ლოკალ ანცაიგერ“-ში გენერალ-მაიორი გრაფი ფონ-ფეილი სწერს: რუსეთის ოფიციალურ ცნობებისა და გაზეთების ცნობების თანახმად გენერალ კუროპატკინს ამ ჟამად ქვეითა ჯარი 142,745 კაცი ჰყავს, კავალერია—22,330 კაცი და არტილერია—84 ბატარეია: 17 ათასი კაცი და 660 ზარბაზანი, ციხეებში კიდევ სხვა არტილერია ჰყავს, ასე რომ ციხის არტილერიის გარდა, გენერალ კუროპატკინს ამ ჟამად ბრძოლის ველზე სულ 181,805 კაცი ჰყავს და 660 ზარბაზანი აქვს. („რ. ს.“).

ფრანგულ სამხედრო გაზ. „ფრანს მილიტერ“-ის ანგარიშით რუსის ჯარს ბრძოლის ველზე დიდძალი სურსათი და ცხენების საკვები დასჭირდება. თუ ბრძოლის ველზე 300 ათასი კაცი და ასი ათასი ცხენი ეყოლებათ, რუსებს ყოველდღე 1,600 ტონა (1 ტონა—62 ფუთია) სურსათი და ცხენების საკვები მოუნდებათ. ამდენ სურსათის საზიდლად ყოველდღე 6 მატარებელი დასჭირდებათ; თითო მატარებელში 30—35 ვაგონზე ნაკლები არ უნდა იყოსო. („რ.“).

ახალი ამბავი

◆ კნ. ოლგა თადეოზის ასულის ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით შესდგა ქალთა კომიტეტი **„წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“** სასარგებლოდ ბაზრის გასამართავად. კომიტეტს გულით მოუსურვებია ეს ბაზარი ძლიერ კარგად მოაწყოს, რადგან წელს ოცდა ხუთი წელიწადი სრულდება, რაც „საზოგადოება“ არსებობს. ჯერ-ჯერობით კომიტეტს გადაუწყვეტია, ამის სახსოვრად გამოსცეს სამი სურათი წმიდა ნინოს ცხოვრებიდან. ეს სურათები ძველი სურათებია ზიჩისა და ამ ჟამად აღარსად მოიპოვება. გამოსცეს აგრეთვე ალბომი, სადაც მოთავსებული იქნება სურათები ყველა ჩვენის მწერლებისა. ამას გარდა კომიტეტი საზოგადოების ოცდა-ხუთის წლის არსებობის სახსოვრად გამოსცემს ღია წერილებს ჩვენის მოღვაწეების სურათებით. თვით ბაზარი და სეირნობა გაიმართება „ტფილისის საკრებულოს“ საზაფხულო სადგომში, მიხეილის ქუჩაზე. ჰფიქრობენ, ბაზარი მდიდრულად მოაწყონ, გამართონ კოხტა კიოსკები, დადგან ცოცხალი სურათები და სხვა. ყველა ამის გარდა იქნება ქართული ხორო, რომელიც სხვა-და-სხვა სიმღერებს შეასრულებს.

◆ 21 მარტს მოხდა კრება ტფილისის **საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებისა.** პირველად კრებამ განიხილა წარსულ წლის მოქმედების ანგარიში. საანგარიშო წელს საზოგადოებას ჰყოლია 1673 წევრი. გაუნაღდებია 12,063 თამასუქი 714,683 მან. 17 კაპეიკისა. წმინდა მოგება დარჩენია 198,144 მან. 36 კაპ. თითოეულ 100 მანეთს დივიდენდად შეხვდება 9 მან. 92 კაპ. სარევიზიო კომისიის მოხსენებამ ანგარიშის გამო კამათი გამოიწვია. კამათი შეეხებოდა იმ 23,520 მან. 15 კაპ., რომელიც გადადებულია საზოგადოების მოხელეთა შესაწევრად საჭიროების დროს. სარევიზიო კომისიამ შენიშნა, რომ საანგარიშო წელს ეს თანხა მეტი უნდა იყოს და აქ შეცდომააო. გამოირკვა, რომ ამ თანხისა ამ ჟამად 33000 მანეთამდეა. კრებამ, კარგა ხანს კამათის შემდეგ, კომისია აარჩია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს წესი ამ თანხის მოხმარებისა. ანგარიში დაამტკიცეს. დაამტკიცეს აგრეთვე ამა წლის სავარაუდო აღრიცხვა. შემდეგ კრებამ, ლავროვის წინადადებით, სადივიდენდო თანხიდან ომის საჭიროებისათვის გადასდო 5000 მან. 48 კაცმა განცხადება შეიტანა კრებაში. თხოულობდნენ, აღენიშნათ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის ა. იოანესიანის 25 წლის ნაყოფიერი სამსახური. ასეთივე განცხადება შეუტანია 21 წევრს. ესენი თხოულობდნენ, იოანესიანს ფულით შემწეობა აღმოსჩენოდა, რადგან ავადმყოფია და ფული სჭირდებაო. კრებამ იოანესიანის შესაწევრად გადასდო 7000 მან. დასასრულ კრებამ ერთხმად დასტოვა გამგეობის დირექტორად ივ. ე. პაროვი; საბჭოს დეპუტატებად გ. გ. ადელხანოვი და ა. თ. ფრიდონოვი. სარევიზიო კომისიის წევრებადაც ისევ ძველები დარჩნენ პ. ა. ოპოჩინინის თავმჯდომარეობით.

◆ გუშინ თავ. დ. ა. გურამიშვილმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ შემიძლიან ქვემო ავჭალაში 2640 ოთხ-კუთხი საჟენი ადგილი დავუთმო ქალაქს ექვსის წლის ვადით **წყლის მილის სათავის** საჭიროებისათვისაო. თავ. გურამიშვილი საიჯარო ფასად წელიწადში თხოულობს 500 მან. ანუ სულ 3000 მან. თუ ვინიცობაა, ქალაქის გამგეობა მოისურვებს ამ ადგილის შეძენას, იგი უთმობს 2640 მანეთად.

◆ 18 მარტისათვის დანიშნული იყო საჯარო ვაჭრობა **ნაძალადევსა და ლოტკის გორაზე** ქალაქის ადგილების იჯარით გასაცემად. თუმცა ვაჭრობას ბევრი ხალხი დაესწრო, მაგრამ მაინც იგი სხვა დროსათვის გადიდო, რადგან საუმჯობესოდ სცნეს, რომ საჯარო ვაჭრობა ადგილობრივ მოხდეს.

◆ გუშინ, 22 მარტს, ტფილისის ქალაქის გამგეობამ სთხოვა პოლიცმეისტერს, დანიშნოს ტფილისის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტების დასახმარებლად გაძლიერებული შტატი პოლიციელებისა, რომ ამ **ვნების კვირის** განმავლობაში წესიერება იქმნას დაცული შუა ბაზარსა, პუშკინის ქუჩასა, თათრის მოედანსა და ავლაბრის სავაჭრო მოედანზე.

◆ დღეს, 23 მარტს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს სხდომა ექნება ტფილისის საბაღოსნო სკოლის მმართველის თანამდებობაზედ კანდიდატის არჩევის შესახებ საკითხის განსახილველად.

◆ მოგვივიდა ბ-ნ კ. მესხიშვილის ლიტოგრაფიის მიერ გამოცემული რუქა მანჯურიისა, კორეიისა და იაპონიისა. რუქა კარგად არის შედგენილი, სამ ფერადათ დახატული და იაფადაც ისყიდება.

◆ ტფილისის სამხატვრო სკოლის უფროსმა სთხოვა გუშინ ქალაქის გამგეობას, გაუგზავნოს სკოლას ის 2000 მან., რომელიც საბჭომ დაუნიშნა ყოველ წლიურად.

◆ ტფილისის საგუბერნიო სამშენებლო გამგეობამ დაავალა ქალაქის გამგეობას, რომ შეუდგეს „კრუჟოკის“ სცენის შეკეთებას და სადგომი ცეცხლის გაჩენისაგან უზრუნველ ჰყოს. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, გაჰგზავნოს დასათვალიერებლად ტეხნიკოსები და შეატყობინოს „კრუჟოკის“ მამასახლისთა საბჭოს, რომ ქალაქის გამგეობა ვერ იკისრებს სცენის შეკეთებასაო.

◆ გუშინ უკვე აღვნიშნეთ, რა პირობით უთმობენ ქალაქს ახნაზაროვების მემკვიდრენი მუხრანსკის ხიდისათვის საბჭო ადგილს. ქალაქის გამგეობამ 19 მარტს განიხილა ეს განცხადება და დაადგინა, გაუმეთროს ახნაზაროვების მემკვიდრეებს რომ ქალაქი ამ ადგილში 55,000 მანეთის მეტს ვერ გარდაიხდისო.

◆ წმ. მამადავითის ეკლესიის სამზრუნველოს თავმჯდომარედ საქართველოს ექსარხოსმა დაამტკიცა დოლგოვი, წევრებად მღ. მაჭაროვი და ნ. ვ. ჟუკოვი.

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა საგანგებო კრება

17 მარტი *)

შემდეგ თავმჯდომარე გადავიდა პროგრამის მეექვსე საკითხზე, რომელიც შეეხება ფოთის ნავთსადგურში გემების დასატვირთავ სამექანიკო მოწყობილებათა გამართვას. ამის შესახებ მოხსენება წაიკითხა ფოთის ქალაქის მოურავმა ნ. ი. ნიკოლაძემ. მოხსენებასთან ერთად მან წარუდგინა კრებას ამ მოწყობილებათა პროექტი, რომელიც დამტკიცებულია სანავთსადგურო მთავრობის მიერ. თავ. პ. გ. წულუკიძემ ერთის მხრივ მოიწონა ფოთის ქალაქის გამგეობის წინადადება, რომელიც კისრულობს თავის ხარჯით გამართოს ხსენებული სამეხანიკო მოწყობილებანი. მაგრამო სთქვა იმან, ამ საქმეს დიდი დრო დასჭირდება; მასთან ფუთზე თითო კაპეიკის დადება ძლიერ სამძიმო იქმნება მწარმოებელთათვის. ამ ჟამად ფუთზე მხოლოდ ნახევარ კაპეიკს ვიხდითო. იგი საუმჯობესოდ სცნობს, რომ დროებით გაკეთდეს ფოთში გემების დასატვირთავი კრანები; ეს ძლიერ მალე გაკეთდება და იაფადაც დაჯდება; თითო კრანს დასჭირდება 3,000 მანეთი; სულ რომ 10 კრანი გაკეთდეს, 30,000 მანეთი გვეყოფა; მაგრამ ამ ჟამად 4 კრანიც საკმაო იქმნებაო. გარდა ამისა, ამ ჟამად რამდენიმე გემი ჩვენს განკარგულებაშია და პირდაპირ იტვირთება, ასე რომ ბაქნებზე შავი-ქვის დაწყობა აღარ გვჭირდება და მეტ ხარჯსაცარ ვწევთო. ნ. ი. ნიკოლაძე: ამ ჟამად გემების დატვირთვის დროს ყოველ ფუთზე ½ კაპეიკს კი არა, ¾ კაპეიკს იხდიან. პატარა კრანების გამართვა თუ ხელსაყრელი ყოფილიყო, ფოთის ქალაქის გამგეობაც მოისაზრებდა. მაგრამ მაშინ თითო ფუთზე 1 კაპეიკი კი არა, 1½ კაპეიკი იქმნებოდა დატვირთვის ხარჯი. პატარა კრანებს შეუძლია მხოლოდ 5 საჟენზე მიაწვდინოს გემებს ტვირთი; გემები კი 7 საჟენითაა დაშორებული ნაპირიდან. შეიძლებოდა, კრანები ისე მოწყობილიყო, რომ შორიდან გადაესროლა ტვირთი გემებში, მაგრამ შავი-ქვა, მოგეხსენებათ, ძლიერ მძიმე მადანია და გემებს დაამტვრევს; გემებს კი ჩვენ არ დაგვამტვრევინებენ. თავ. პ. გ. წულუკიძემ წინადადება შეიტანა, რომ არჩეულ იქმნას კომისია, რომელმაც დაახლოვებით უნდა გაიცნოს კრანების ღირსება-ნაკლულევანება; გარდა ამისა, თუ კრანები მოწონებულ იქმნა, გადაიდოს ამ საქმისათვის საზოგადო ფონდიდან სესხის მსგავსად 30,000 მანეთი. ბ. პ. მოსეშვილი წინააღმდეგია კომისიისა. იგი ურჩევს კრებას მიიღოს ფოთის ქალაქის გამგეობის წინადადება, თუმცა ფუთ შავ-ქვაზე თითო კაპეიკის დადება კი ძლიერ დიდად ეჩვენება. გარდა ამისა, ის საჭიროდ სცნობს, რომ სამეხანიკო მოწყობილების გარდა ქალაქმა გამართოს მუშების სადგომები და შავი-ქვის დახურული საწყობები, რომ უიმისოდაც სოველი მადანი კიდევ უფრო არ გაიჟღინთოს წყლით. ნ. ი. ნიკოლაძე: ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგვიძლიან მოვაწყოთ ხსენებული მანქანები, თუ ყოველ ფუთზე თითო კაპეიკს დაგვადებინებთ დასატვირთავს; გარდა ამისა, თუ ნავთ-სადგურში კერძო მრეწველები არ გააკეთებენ საკუთარ კრანებს. თუ ამ პირობებს არ მიიღებს კრება, მაშინ თვითონ გააკეთოს, როგორაც უნდა ისეთი მანქანები, ქალაქი ხელს არ შეუშლის. ქალაქს საკუთარი ფული არა აქვს და იძულებულია ისესხოს; მრეწველთა კრებას კი თავისუფალი თანხა მეტი აქვს და თვითონ მოაწყოს მანქანებით. ხანგრძლივის კამათის შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა მიანდოს საბჭოს მიიწვიოს მცოდნე პირები იმის შესამუშავებლად, თუ რამდენად სასარგებლო იქმნება ნავთსადგურში კრანების მოწყობა. რაც შეეხება ამ საგნისათვის სესხად 30,000 მანეთის გადადებას, ეს კი უყურადღებოდ დასტოვა.

18 მარტი

პირველად შეუდგნენ პროგრამის მეხუთე მუხლის განხილვას, რომელიც შეეხება ჭიათურიდან გატანილ შავ-ქვაზე საფუთო გადასახადის მომატებას. გ. ფ. ზდანოვიჩმა წაიკითხა თავისი მოხსენება, რომლიდანაც სჩანს: წარსულ წლის თანხიდან საბჭოს დარჩენია დაუხარჯავი 103,000 მანეთი; აქედან 73,000 მანეთი უკვე გადადებულია სხვა-და-სხვა სამუშაოებისათვის, ასე რომ თავისუფალი თანხა რჩება 30,000 მანეთი; მაგრამ 30,000 მანეთი მიმდინარე ხარჯებს ვერ დაჰფარავს, ასე რომ დეფიციტი 15,000 მანეთი იქმნება. თუ კრებას ახალი დადგენილებანიც მივიღეთ მხედველობაში, როგორც, მაგალითად, ჭიათურაში საქალაქო სასწავლებლის დაარსება სამთო განყოფილებით, დაშავებულ მუშების დაჯილდოვება და სხვ., მაშინ საბჭოს დეფიციტი 60,000 მანეთამდის ადის. ამიტომ საჭიროა ან უარ-ვყოთ ახალი დადგენილებანი და ამით მომავალი ხარჯები შევამციროთ, ან შემოსავლის ახალი წყარო გამოვნახოთ. ასეთ წყაროდ ბ-ნ ზდანოვიჩს მიაჩნია საფუთო გადასახადის მომატება ⅛ კაპეიკით, რაც შეადგენს სულ 34,0 მანეთს.

თავ. პ. გ წულუკიძემ შეუძლებლად სც ეხლა საფუთო გადასახადის მომატება, რად შავი-ქვის ფასი უამისოდაც ძლიერ დაცემულ თუ ახალი გადასახადი შემოვიღეთ, მაშინ ს შეჩერდება შავი-ქვის ვაჭრობა. ომიანობის დრ ევროპას უკლებენ ასეთ გადასახადს, რადგან გაზიდვა შეჩერებულიაო. ამავე აზრისა იყო პ. ემერიკიც, რომელმაც თავის მხრივ დაუმ ტა: საფუთო გადასახადის მომატება წინააღმდ გობა იქმნება ჩვენის შუამდგომლობისა ტარი დაკლების შესახებ. გვეტყვიან: თუ საფუთო გ დასახადის მომატებას შესაძლოდა სცნობთ, თქ ნი მდგომარეობა ისე გაჭირვებული არა ყოფ როგორც ამბობთ, და ტარიფის დაკლებაც ა საჭიროო. თავ. ი. გ. აბაშიძე: მე ტყუილად ვთხოულობდი წარსულ სხდომაზე, რომ საკით საფუთო გადასახადის მომატების შესახებ შე კავშირებოდა პროგრამის მეორე მუხლთან, რომ ლიც შეეხება დაშავებულ მუშების დაჯილდოვებ თუ ჩვენის საქმეების გაუმჯობესება გვსურს, შების მდგომარეობაც უნდა გავაუმჯობესოთ; სათვის საჭიროა, რომ შესრულებულ იქმნეს ხს ნი გუშინდელი დადგენილება; ეს-კი შეუძლებ ჭხდება, თუ საფუთო გადასახადს არ მოვუმატ თავ. ი. ბ. ნიჟარაძე სცდილობდა ზოგიე ხარჯის შემცირებას, როგორიცაა, მაგალითად, ქალაქო სასწავლებლის ხარჯი, მუშების დასაჯი დოვებელი თანხა, საქიმიო ლაბორატორიის ხა ჯი და სხ. საფუთო გადასახადის მომატებას ამ წელში მაინც, შეუძლებლადა სცნობს. ბ. ზდანოვიჩი წინააღმდეგი იყო ხარჯების შემ რებისა. თავ. პ. გ. წულუკიძემ წინადადება სცა კრებას, დროებით დავხარჯოთ ის ფუ რომელიც სხვა-და-სხვა საქმეებისათვისაა გად ბული, მაგრამ ამ წელს მთლად არ დაგვეხარ ბაო; როგორც, მაგალითად, გზების გასაკე ბლად გადადებული ფული, საქიმიო ლაბორატორ თანხა, მუშების სადგომების ასაშენებელი თა ხა და სხვ. გ. გ. ემერიკი ხარჯების ამც რად შეცირების წინააღმდეგი იყო. (გ. ზდანოვიჩი: თავ. პ. წულუკიძე წინადად ბას იძლევა, რომ ერთი საგნისთვის გა [illegible] საგანს მოვახმაროთ; მაგრამ ვალს ხომ გადახ უნდა და რით უნდა გადავიხადოთ, როდ ხელში არაფერი გვექნება? როგორ მოვიქცეთ შემთხვევაში, თუ შუამდგომლობა ტარიფის და ლების შესახებ უყურადღებოდ იქმნა დატოვებ ლი და შემოსავალმა არ იმატა? კრებამ ერთხმა გარდა გ. ფ. ზდანოვიჩისა და თავ. ი. გ. აბ შიძისა, დაადგინა, საფუთო გადასახადს არ მო ემატოს. გ. ფ. ზდანოვიჩი: ჩვენ სხვა ახალ ხარჯებიც მოგველის, როგორც, მაგალითად ტარიფის დაკლების საშუამდგომლოდ დეპუტ ციის გაგზავნის ხარჯი; გარდა ამისა მრეწველ შორის ლაპარაკია, რომ ბ-ნს ემერიკს ვუზღ ის ხარჯები, რომელიც გასწია პეტერბურგ ტარიფის დაკლების შუამდგომლობის დრო ამასთან, ბ-ნ ჭასფელდისაგან საბჭოს მოუვიდ წერილი; თხოულობს, ვუზღოთ ის ხარჯებ რომელიც ორის წლის განმავლობაში მრეწველ საქმეების გამო პეტერბურგში გასწია. შე მომივიდა კერძო წერილი, რომლითაც ჭასფელდ კრებისაგან ჯილდოთ 5,000 მანეთს თხოულობს ხმები: აქ რომ ბრძანდებოდეს, კარგს ჯილდ მივართმევდით, (ეგ ის ჭასფელდია, რომელ ყოველი ღონისძიება უხმარია სამინისტროში, რომ შუამდგომლობა ტარიფის დაკლების შესახ უყურადღებოდ დაეტოვებინათ).

თავმჯდომარემ კრება შესწყვიტა, რომ საზ გადოებას მოელაპარაკნა ხსენებულ საკითხის შ სახებ. სხდომის განახლების შემდეგ თავმჯდ მარე ბ-ნ ჭასფელდის თხოვნას უყურადღებ სტოვებს, რადგან იმას ჭიათურის მრეწველ საქმეებთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს რაც შეეხება ზოგიერთების სურვილს, რომ ბ- ემერიკს მიეზღოს დანახარჯი, ამის გადაწყვეტ კრებაზეა დამოკიდებულიო. თავ. პ. გ. წულ კიძემ უკანონოდ სცნო ზოგიერთების სურვილ ბ-ნ ემერიკის დაჯილდოვების შესახებ, რადგ იმას კრებისაგან არა ჰქონია დავალებული შუ დგომლობის აღძვრა. რამე რომ გაეკეთებინა, მა კიდევ შეიძლებოდა დაჯილდოვება, ეხლა როდესაც არაფერი გაუკეთებია, რა უნდა მი შეცდომებით სავსე ქაღალდების წერაშით. რაც შეეხება პეტერბურგში შუამდგომლობის აღსა რულად წარმომადგენლების გასაგზავნ ხარჯს ეს კი უსათუოდ კრებამ უნდა იკისროს და ხარჯი უნდა უდრიდეს იმ რაოდენობას, რომელ საც აძლევენ ასეთ შემთხვევების დროს ქალაქ მოურავებსა და თავად-აზნაურთა წინამძღოლ

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2446.

ამავე აზრის იყო თავ. ი. გ. აბაშიძეც. თავ. ი. ბ. ნიჟარაძის აზრით, ბ-ს ემერიკს უნდა მიეცეს 1,000 მანეთი. თავმჯდომარე: როგორც სჩანს, მხოლოდ თავ. წულუკიძე და თავ. აბაშიძე არიან ბ-ნ ემერიკის დაჯილდოვების წინააღმდეგნი. ხმები: ყველა წინააღმდეგია, ყველა! რადგან ეს საკითხი კენჭის ყრით უნდა გადაწყვეტილიყო, თავმჯდომარემ სხდომა შესწყვიტა საღამოს 7 საათამდის.

დონ-ვალიანი

რუსეთის ქრონიკა

◆ ვლადიკავკავის რკინის გზის გამგეობას გადაუწყვეტია, შემოიღოს სამგზავრო მატარებლის ვაგონებში განსაკუთრებული შკაფები მგზავრების ბარგის შესანახავად. ყოველ მგზავრს შეეძლება ქმნება მიაბაროს თავისი ბარგი ამ შკაფებში —ნაქირი 5 კაპეიკად—და მით უზრუნველ ჰყოს იგი ქურდებისაგან ან მოულოდნელ დაკარგვისაგან. („მოს. ლის.“).

◆ ადესის კრადონაჩალნიკს გადაუწყვეტია ა. ნეიმანისათვის ორის თვით დაპატიმრება და ვ. ბერენშტეინისათვის ერთის თვით დაპატიმრება. ორივეს ქუჩაში უწესოების ჩადენა ბრალდებათ.

◆ როგორც „ეკატ. ლის“. გვაუწყებს, ეკატერინოსლავის გუბერნატორს უცნობებია პოლიცმეისტერისა და მაზრის ისპრავნიკებისათვის, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა აკრძალა საჯარო ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებში, აგრეთვე ქუჩებსა, მოედნებსა და საჯარო ადგილებში ხმარება და გაყიდვა წიგნის „პ. ლაამე ოსტროვ სახალინ“-ისა.

◆ რიაზანის სამაზრო საერობო კრება შუამდგომლობდა მთავრობის წინაშე, რადგან 1903 წელს ჩვენს მაზრაში მოუსავლობა იყო, ნება დაგვრთეთ გლეხობისათვის შეღავათიანის ტარიფით პური, თივა და სხვა საკვები საქონელი შემოვიტანოთო. როგორც „რუს. ვედ.“ იუწყება, შინაგან საქმეთა მინისტრს ამ ჟამად უცნობებია გუბერნატორისათვის, რომ რუსეთ-იაპონიის ომისა გამო ფინანსთა მინისტრმა ვერ სცნო შესაძლებლად შეღავათიან ტარიფის დათმობაო.

◆ როგორც „პეტ. გაზ.“ იუწყება, საერო განათლების სამეცნიერო კომიტეტი კვლავ განაგრძობს საშუალო სკოლების რეფორმების შემუშავებას. უკანასკნელ სხდომებზე კომიტეტს საბოლოოდ შეუმუშავებია სამივე ტიპის—კლასიკურ, რეალურ და ექსკლასიან საშუალო სკოლის დებულება, პროგრამა და შტატები. სამეცნიერო კომიტეტი აქამდის მხოლოდ სახელმწიფო საშუალო სასწავლებელთა რეფორმების შემუშავებას უნდებოდა. ამ ჟამად კომიტეტი აპირებს, შეუდგეს საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირთა გამგეობაში მყოფ სასწავლებელთა რეფორმების საკითხს.

ტფ. სამეურნეო ბანკის წევრთა კრება

კვირას, 21 მარტს, მოხდა წლიური კრება ტფ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის წევრთა. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა უგ. თავ. **პ. ა. გრუზინსკი**, ხოლო მდივნად ე **ო. იოსელიანი**. პირველად კრებას მოხსენდა ბანკის მოქმედების ანგარიში და მოხსენებანი ამ ანგარიშის შესახებ ბანკის საბჭოსა და სარევიზიო კომისიისა.

ანგარიში გვიმტკიცებს, რომ 1903 წელსაც ტფ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის მოქმედება არაფრით არ განირჩევა წინა წლების მოქმედებისაგან, ესე იგი, ბანკი ძლიერ ნელა იზრდება, თითქმის შეუმჩნევლად ავითარებს სხვა-და-სხვა ოპერაციებს.

გასულ წელს რამდენმამე ოპერაციამ კიდეც იკლო წინა წელთან შედარებით; მაგალითად: ვადიან ქაღალდებში ფული გაუცია სულ 2663 მ. 90 კ. წინა წელთან შედარებით 3084 მანათით ნაკლები; სარგებლიან ქაღალდებში სესხი გაუცია 85 808 მ. 50 კ., წინა წელთან შედარებით 2360 მანათით ნაკლები; საქონლის გირაოთი გაუცია 43.226 მანათის სესხი, წინა წელზე 4219 მანათით ნაკლები. ხოლო უმატნია შემდეგ ოპერაციებს: ვექსილებით სესხი გაუცია 643.362 მან. 60 კ., წინა წელთან შედარებით 54.366 მანათით მეტი; სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების გირაოთი გაუცია სულ 10 სესხი 9579 მანათისა, წინა წელთან შედარებით 1365 მანათით მეტი. ანგარიშისა და ხსენებულ მოხსენებათა განხილვას კრებამ სულ მცირე დრო მოახმარა და უმნიშვნელო კამათის შემდეგ ისინი დაამტკიცა.

შემდეგ კრებას მოხსენდა 1904 წ. ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც უდრის 20.645 მანათს. ხარჯთ-აღრიცხვის თითოეული მუხლი შარშანდელს უდრის: არც ჯამაგირები, არც სხვა-და-სხვა ხარჯი არ ემატება; ახალი მუხლი მხოლოდ ერთია: თავ. ი. გ. **ჭავჭავაძის** წინადადებით, ბანკის საბჭოს ხარჯთ-აღრიცხვაში შეუტანია 150 მან. იმის დასაჯილდოვებლად, ვინც შეადგენს საუკეთესო წიგნაკს მცირე სახალხო კრედიტის შესახებ. კრებამ მოიწონა ეს წინადადება, მაგრამ ილოტავა ჯილდოს რაოდენობა და ხარჯთ-აღრიცხვაში 300 მან. შეიტანა ამ საქმისათვის. შემდეგ, **ბ. კობიაშვილისა და ვ. ა. სულხანიშვილის** წინადადების თანახმად, ხარჯთ-აღრიცხვას მიემატა 1000 მან. ბანკში მსახურთათვის მომავალ საპენსიო კასის ფონდის შესადგენად. ამასთანავე გამგეობის წევრმა თავ. **ვ. ს. მიქელაძემ** განაცხადა, ბანკის გამგეობა და საბჭო კიდეც შეუდგნენ საპენსიო კასსის წესდების შემუშავებას და, იმედი არის, ეს წესდება მომავალ კრებას კიდეც წარედგინება განსახილველადაო. ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცდა აღნიშნულ ცვლილებით, ეს იგი საერთო ჯამს 1150 მან. მიემატა.

შემდეგ კრება შეუდგა დაუსრულებელ საკითხს განხილვას: როგორ გაძლიერდეს ოპერაციები სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა გირაოთი სესხის გაცემისა. ამ საკითხის შესახებ კრებას წარედგინა შემდეგი მასალა: 1) **ი. გ. ქუთათელაძის** მოხსენება, რომელიც უკვე დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში; 2) საგანგებო კომისიის მოხსენება, 3) ბ-ნ **ტარიელაშვილის** განსაკუთრებული აზრი, 4) **ქ. ი. მამაცაშვილის** მოხსენება და 5) ოქმი შეერთებულ კრებისა ბანკის საბჭოს, გამგეობის და განსაკუთრებულ კომისიისა. ბ-ნ ქუთათელაძის მოხსენება ჩვენმა მკითხველებმა კიდეც იციან; დედა-აზრი იმისა ისაა, რომ ბანკი უნდა ეცადოს სოფლის მეურნეთ დაუახლოვდეს, შეაძლებინოს მათ დააარსონ საკრედიტო ამხანაგობანი, რომელთა შემწეობით შეიძლება გაძლიერდეს ხსენებული ოპერაციები. ბ-ნ ტარიელაშვილის აზრით, ბანკის მოქმედების გასაძლიერებლად უნდა დაარსდეს საგენტოები სასოფლო-სამეურნეო მთავარ ადგილებში; ამ საგენტოებს შეეძლებათ ბანკს კლიენტები მოუძებნონ, რომელნიც ფულსაც მიაბარებენ ბანკსა და ისესხებენ კიდეც. ქ. ი. მამაცაშვილი სასარგებლოდ სთვლის საწყობების დაარსებას; ამ საწყობებში მეურნენი შეინახვენ იმ ნაწარმოებთ, რომლის დაგირავება უნდათ, და ბანკსაც მაშინ გაუადვილდება ამ ნაწარმოებთა დაგირავებით სესხის გაცემის გაძლიერება. ბანკის საბჭოსა, გამგეობის და განსაკუთრებულ კომისიის მოხსენებანი-კი ყველა აღნიშნულ მოსაზრებათ ეწინააღმდეგებიან და ამტკიცებენ, ჯერ-ჯერობით ხსენებულ ოპერაციის გაძლიერება შეუძლებელიაო. დაახლოვებით ამ მოხსენებათა შინაარსი შემდეგია: სოფლის წვრილ მეურნეთ, უმთავრეს შემთხვევაში გლეხთ, სესხი შეიძლება მიეცეს ვექსილითა და სამეურნეო ნაწარმოების გირაოს ქვეშ. ვექსილით სესხის გაცემის გაძლიერებას წინ ეღობება ის გარემოება, რომ კანონით სავექსილო ოპერაციაში მონაწილეობის მიღების ნება მხოლოდ გლეხ-მესაკუთრეს აქვს; ტფ. გუბერნიაში-კი ასეთ გლეხთა რიცხვი 4%-ს ძლივს აღემატება; მაშასადამე, გლეხთა უდიდეს უმრავლესობას, კანონის ძალით, რომლის შეცვლა ჩვენ ხელთ არ არის, არ შეუძლია ისარგებლოს პირადის კრედიტით. ნაწარმოებთა გირაოს ქვეშ სესხის გაცემას-კი შემდეგი გარემოებანი უშლიან ხელს: წვრილ მეურნეს ეს კრედიტი მეტად ძვირად დაუჯდება; გარდა იმ სარგებლისა, რომელიც ბანკს უნდა აძლიოს წესდების ძალით (8 თუ 9%), მან ფული უნდა დახარჯოს დასაგირავებელ ნაწარმოების დასაზღვევად (ამასაც კანონი მოითხოვს) და ბანკის მოხელის ან აგენტის წასაყვან-მოსაყვანად; ეს ზედმეტი ხარჯიც წლიურად 14—15%-მდე მიაღწევს; ამასთანავე კანონი თხოულობს, რომ დაგირავებული ნაწარმოები კარგსა და ტეხნიურად მოწყობილ საწყობებში იქნას შენახული, რაც თითქმის მოუხერხებელია წვრილ მეურნესათვის. ამ ზედმეტ ხარჯს შეამცირებდა სხვა და სხვა რაიონებში საწყობების დაარსება, მაგრამ ამას ბანკი ვერ იკისრებს უსახსრობისა გამო და გარდა ამისა თვით მეურნეთათვის დიდათ საძნელო იქნება სხვა და სხვა ადგილას ზიდონ თავისი ნაწარმოები. მეურნეებზე სესხის გაცემა გაადვილდებოდა, სოფლებში რომ საკრედიტო ან სამეურნეო ამხანაგობანი არსებობდნენ, მაგრამ მათ დაარსებას და აღყვავებას სოფლის დღევანდელი პირობანი უშლიან ხელს, ხოლო ბანკს არ ძალუძს იკისროს ამ პირობათა ძლევა და ხსენებულ კოოპერაციათა განვითარება-მოწყობა.

საზოგადო კრებაში ზოგიერთი წინააღუდგა ამ მოსაზრებათ, ზოგიც მათ დამცველად გამოვიდა. ჩვენ არ შევჩერდებით ამ კამათზე, რადგან ახალი რამ მოსაზრება არც ერთსა და არც მეორე მხარეს არ მოუყვანია: გამგეობის მოწინააღმდეგენი იმეორებდნენ იმ ღონისძიებათ, რომელნიც ბ. ქუთათელაძისა, ბ. ტარიელაშვილისა და ბ. მამაცაშვილის მოხსენებაშია აღნიშნული (საკრედიტო ამხანაგობათა ან საგენტოებისა ან კიდევ საწყობების დაარსება-მოწყობა); გამგეობის მომხრენი კი იმეორებდნენ განსაკუთრებულ კომისიის მოსაზრებათ. ბოლოს, საზოგადო კრებამ დაადგინა: მხედველობაში იქმნას მიღებული კომისიის მოხსენება. ამგვარად, ეს დიდი ხნის მწვავე საკითხი დროებით მაინც მივიწყებას უნდა მიეცეს...

ბანკს საანგარიშო წელს წმინდა მოგება დარჩენია 7941 მან. 24 კ.; აქედან, სხვა და სხვა სავალდებულო გამოკლების შემდეგ, ბანკის წევრებს უნდა დაჰრიგებოდათ ყოველ ას მანათ საწევრო ფულზე 6 მან. 92 კაპ. დივიდენდი. საბჭოს წინადადებით, ამ თანხიდან საზოგადო კრებამ შესწირა: 1000 მან. ომის საჭიროებას და 200 მან. ქალთა სამკერვალოს.

დასასრულ მოხდა არჩევნები. გამგეობის წევრად, როგორც უკვე გუშინ გაცნობეთ, ისევ თავ. ვ. ს. მიქელაძე აარჩიეს; საბჭოს წევრებად ისევ ი. გ. თულაშვილი და ი. ბ. საგინაშვილი; ხოლო სარევიზიო კომისიის წევრებად ბ-ნნი ნ. ალექსი-მესხიშვილი, ვ. პოლშინი და ფ. ამირაღოვი.

სასამართლო

მარტყოფისა და ზედაზნის მონასტრების გაძარცვა.

გუშინ წინ, 21 მარტს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა სააპელაციო საჩივარი ოზურგეთის მაზრის მცხოვრებთა ივანე თოთიბაძისა, რაჟდენ ცეცხლაძისა, ილია თოხაძისა, ირაკლი თოიძისა, გრიგოლ მამულაიშვილისა და ტფილისის მოქალაქის ოჰანეზ ვართანიანცისა, რომელთაგან პირველს ხუთს ბრალდებათ წმ. ანტონის მონასტერზე თავ-დასხმა და გაძარცვა, ხოლო ვართანიანცს—მოპარულ ნივთების დამალვა. რადგან ამ რამდენისამე თვის წინად ამ საქმის შესახებ დაწვრილებითი ანგარიში გვქონდა დასტამბული, აქ მხოლოდ მოკლედ მოვაგონებთ მკითხველებს, როგორ მოხდა წმ. ანტონის მონასტრის გაძარცვა. 1902 წელს, 31 მაისს, ასე საღამოს 7—8 საათზე, ეკკლესიაში შევარდა მთელი ბრბო, ასე 10—11 კაცამდე. ყველანი თავით ფეხამდე შეიარაღებულნი იყვნენ თოფებით, ხანჯლებით, რევოლვერებით და სხვ. ორი მონასტრის კარებში ჩადგა და გარედ არავინ არ გაუშვა, დანარჩენნი დარაზმდნენ ეკლესიაში და იქ მყოფთა შესაშინებლად დახცალეს ზერდანები. მლოცველნი საშინლად შეშინდნენ. სუყველა ცდილობდა დამალულიყო სადმე. სხვათა შორის, ტრაპეზში დაიმალა პორუჩიკი ბოგდანოვი. ზოგი ბოროტ-მოქმედნი ტრაპეზში შეცვივდნენ და გერმანეს მოსთხოვეს ფული. მ. გერმანეს გაუღია ძვირფასს ნივთების ყუთი და ბოროტ-მოქმედთ ამოულაგებიათ ნივთები. ბოგდანოვს წაართვეს თურმე საათი ძეწკვით. ამავე დროს სხვა ბოროტგანმზრახველთ სათითაოდ ჩამოუვლიათ მლოცველთათვის და წაურთმევიათ რაც კი ჰქონიათ. ყველა ამის შემდეგ ავაზაკები გასულან ეკლესიიდან, კარები გარედან ჩაუკეტიათ და დამალულან. ავაზაკთა უმრავლესობა ახალგაზდანი იყვნენ. ამავე წელს ორჯელ გასტეხეს ზედაზნის მონასტერი. გამოძიებამ კარგა ხანს ჩხრეკის შემდეგ ეჭვი მიიტანა ზემოდ აღნიშნულ პირებზე და კიდევაც დააპატიმრეს ყველანი. აღნიშნულ პირთა გარდა ამ საქმის გამო პასუხის გებაში მისცეს ტატო (იგივე გიორგი) გაბაშვილი და გიორგი დოლიძე (მორჩილად ნამყოფი). გიორგი დოლიძე მეტეხის საპყრობილეში გარდაიცვალა, ხოლო ტატო გაბაშვილი საპყრობილიდან გაიქცა. ამ რამდენისამე თვის წინად ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა ეს საქმე. არც ერთმა ბრალდებულმა თავი დამნაშავედ არ იცნო. სასამართლომ ბრალდებულნი ივანე თოთიბაძე, რაჟდენ ცეცხლაძე, ილია თოხაძე, ირაკლი თოიძე და გრიგოლ მამულაშვილი დამნაშავედ იცნო მარტყოფის მონასტრის თავ-დასხმისა და გაძარცვისათვის, გადაუწყვიტა მათ ყოველივე უფლების ჩამორთმევა და კატორგაში გაგზავნა თითოს 12 წლით; ტფილისის მოქალაქე ტერ-ვართანიანცი დამნაშავედ იცნო სასამართლომ წმ. ანტონის და ზედაზნის მონასტრიდან მოპარულ ნივთების დამალვისათვის და გადაუწყვიტა ყოველისავე უფლების ჩამორთმევა დადა პატიმართა გამასწორებელ რაზმში 3½ წლით გაგზავნა. ამავე საქმისათვის პასუხის გებაში მიცემული ნიკ. სალუქვაძე ოლქის სასამართლომ უდანაშაულოდ იცნო და გაამართლა. ბრალდებულთ საქმე გადაიტანეს პალატაში. თოთიბაძეს იცავდა ნაფიცი ვექილი აბაშიძე, ცეცხლაძეს—ნაფ. ვექ. თანაშემწე მაჭავარიანი, თოხაძეს—ნაფიცი ვექილნი თავ. ი. ბარათაშვილი და კლანქი, თოიძეს—ნაფ. ვექილი თავ. ვეზირიშვილი, ხოლო მამულაიშვილს—გრუზენბერგი. საქმის გარემოების მოსმენის შემდეგ თითქმის მთელი ერთი საათი ილაპარაკა ბრალმდებელმა სოკოლოვსკიმ. სოკოლოვსკიმ უმთავრესი ყურადღება მიაქცია ბრალდებულის აღნიაშვილის (იგივ გაბაშვილი; ეს ბრალდებული მეტეხის საპყრობილედან გაიქცა და დღესაც იმალება) გამოტეხას. გაბაშვილმა დაპატიმრების დროს განაცხადა, რომ წმ. ანტონის მონასტრის გამძარცველნი ესენი არიან; მე მთხოვეს მონაწილეობა მიმეღო, მაგრამ არ დავთანხმდიო, ბრალმდებელმა ითხოვა ოლქის სასამართლოს განაჩენის დამტკიცება. თოთიბაძეს ვექილმა აბაზაძემ აღნიშნა საქმეში მოყვანილი საბუთი, როცა ეს ბოროტ-მოქმედება ხდებოდა, თოთიბაძე ბაქოში იმყოფებოდა ექიმ ელიაშვილთან. რაც შეეხება აღნიაშვილის გამოტეხას, იმას არავითარი ყურადღება არ უნდა მიექცეს, რადგან აღნიაშვილი ყაჩაღი აღმოჩნდა და გაიქცა კიდეცაო. ვექილებმა მაჭავარიანმა, ბარათაშვილმა, კლანქმა, გრუზენბერგმა და ვეზირიშვილმა კარგა ხანს ილაპარაკეს. უმთავრესი საბუთი საქმეში, რომელზედაც არის დამყარებული ბრალდება, გამოტეხაა ყაჩაღის გაბაშვილისა. ყველა ვექილებმა ამ გარემოებას მიაქციეს ყურადღება და აღნიშნეს შეუსაბამობა ამ ფაქტისა. ჯერ ერთი: ბრალდებულებისთვის სრულიად უცნობი პირია გაბაშვილი და არ შეეძლოთ ნდობოდნენ იმას; მეორე: რისთვის დასჭირდებოდათ ბრალდებულთ მიემართნათ აღნიაშვილისათვისაო? ვექილებმა აღნიშნეს აგრეთვე ის გარემოება, რომ ბოქაულმა გუგუშვილმა უმთავრეს მოწმეებს ხომერიკსა და ხანთაძეს ძალა დაატანა, 8—9 დღე თავისთან ჰყავდა და ათქმევინა ის, რაც უნდოდაო. გამომძიებელმა წესისამებრ თავის კამერაში კი არა, გუგუშვილის სახლში იმისი თანადასწრებით გამოჰკითხა მოწმეებს. რა თქმა უნდა, პოლიციელს გავლენა ექნებოდა მოწმეებზეო. ვექილი კლანქი შეეხო აგრეთვე პოლიციის საიდუმლო აგენტს ლორიას, რომელსაც ცრუ ცნობები მიეწოდებია პოლიციისთვის. ბრალდებულთაგან ივ. თოთიბაძემ განაცხადა: ბ-ნო მოსამართლენო! მთელს საქმის ვითარება უკვე მოგხსენდათ და მოკლედ ვიტყვი მეც რამდენსამე სიტყვას. ამ საქმეში არავითარი დანაშაულობა არ მიმიძღვის, ჩემი დანაშაულობა მხოლოდ იქიდანა სჩანს, რომ ვიცნობდი აღნიაშვილს, მაგრამ განა ეს რა საბუთია ჩემ გასამტყუნებლად? აღნიაშვილი გავიცანი, როცა ბაქოში წავედი. იგი შემთხვევით შემხვდა და მთხოვა, ადგილი რამე მიშოვნეო. წავიყვანე ბაქოში და რადგან ვერას გავხდი, იგი დაბრუნდა. ხელ-ახლა შევხვდი გამომძიებლის კამერაში, სადაც მეც დამიბარეს ამ საქმის გამო. საქმეში ნაჩვენებია ერთის მოწმის ტფილისის პოლიცმეისტრის ჩვენება. პოლიცმეისტერმა განაცხადა, დარწმუნებული ვარ, ეს ბრალდებულნი ამ ავაზაკობის ჩამდენი უნდა იყვნენ, რადგან გურულები არიან და გურულები ხომ განთქმულნი არიან ავაზაკობაში. რაც კავკასიაში ავაზაკობა ხდება, სულ იმათი განააო. განა ეს მართალია? მე რომ გურული ვარ, ნუ თუ იმიტომ ვარ დამნაშავე? განა ყველა გურულები ავაზაკები არიან, განა ყველა დამნაშავენი არიან? ავი კაცი ყოველს ხალხშია და განა ერთისა და თუნდა ასის კაცის ავაზაკობა საბუთია იმის სათქმელად, რომ მთელი ხალხი ავაზაკები არიანო? მე შრომის კაცი ვარ, ქრისტიანი და ისეთ საქმეს არ ჩავიდენდი, როგორიც მონასტრის გაძარცვააო.

სამოსამართლო პალატამ განაჩენი გამოაცხადა საღამოს 6 საათზე. პალატამ დამნაშავედ იცნო ყველა და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 მარტი

სევასტოპოლი. ქალაქი მორთულია დროშებით. ნახიმოვის მოედანზე ჩაყენებულია ჯარი, რომელიც ძლივს-ძლივობით აკავებს ურიცხვ ხალხს. ყველას სურვილი აქვს, დაინახოს გმირები. გემის მისაგებებლად ზღვაში გავიდა ნაღმიანი გემი ამართულის ნიშნით, რომელზედაც წარწერილი იყო „სალამი გმირებს!“ გემ „სვ. ნიკოლაი“-ს რეიდში შემოსვლის დროს ჯავშნიან გემმა „როსტისლავ“-მა შვიდჯერ გაისროლა ზარბაზანი. შავი-ზღვის ფლოტმა აღმართა საომარი დროშები, როგორც ბრძოლაში გასვლის დროს აღმართვენ ხოლმე რუსეთის გემები. „ვარიაგ“-ის გმირები ფიცხლავ ავიდნენ გემზე და „ურა“-ს ყვირილით უპასუხეს შავი ზღვის ფლოტის მისალმებაზე. მუსიკამ დაუკრა მარში, რომ შემდეგ გაისმა ისევ „ურა“-ს ძახილი. ადმირალი სკრიდლოვი მიესალმა ძვირფას სტუმრებს; ავიდა გემზე, გადაეხვია სტეფანოვსა, გადაკოცნა აფიცრები და უთხრა მეზღვაურთ: „გამარ-

ჯობა მევოპრებო"; გილოცავთ ბრწყინვალე გმირობას, რომლითაც თქვენ დაამტკიცეთ, რომ რუსებს შეუძლიათ სიკვდილი. თქვენ, როგორც ნამდვილმა რუს მეზღვაურებმა, გააკვირვეთ მთელი ქვეყნიერობა თქვენის მამაცობით; თქვენ იცავდით რუსეთისა და ანდრიას დროშის ღირსებას და მზად იყავით დახოცილიყავით, ვინემ დაგეთმოთ გემი მტრისათვის. ბედნიერი ვარ, მოგესალმოთ შავის ზღვის ფლოტის სახელით, განსაკუთრებით აქა, ამ მრავალ წამებულ სევასტოპოლში, რომელიც მოწამეა ჩვენის ფლოტის დიდებულ ტრადიციებისა. აქ ყოველი ნაჭერი მიწა მორწყულია რუსის სისხლით, აქ ამართულია ძეგლი რუს გმირებისა და აქ სალამს გიძღვნი თქვენ შავის-ზღვის ფლოტის სახელით. ამასთან, არ შემიძლია არ მოგახსენოთ გულითადი მადლობა იმისათვის, რომ ყველა ჩემი დარიგება ასე კარგად შეგითვისებიათ და სასახელოდ გამოიყენეთ ბრძოლაში. იყავით ჩვენთვის სასურველ სტუმრებად. „ვარიაგ"-ი დაიღუპა, მაგრამ ხსოვნა თქვენის საგმირო საქმეთა მრავალ წელს იქნება. „ურა!".

სევასტოპოლი. „ვარიაგ"-ის მეზღვაურებს მიეგება ქალაქის თავი პურ-მარილით, რის შემდეგ ყველანი გადავიდნენ ნახიმოვის ძეგლთან, სადაც სადღესასწაულო პარაკლისი გადაიხადეს. მეზღვაურებს უფროსმა ადმირალმა სკრიდლოვმა გრძნობით სავსე სიტყვით მიჰმართა და გადასცა აფიცრებს უმაღლესი გრამოტა და წმ. გიორგის ჯვრები; ამასთან სკრიდლოვმა აღნიშნა ხელმწიფე იმპერატორის წყალობა, რომელმაც მექანიკოსი და ექიმი ისევე დააჯილდოვა, როგორც აფიცრები. ამის შემდეგ ადმირალმა სკრიდლოვმა წმ. გიორგის ჯვარი მოიხსნა და ჩამოჰკიდა თავის ქვეშევრდომად ყოფილს კაპიტანს სტეფანოვს და სთქვა: ამ ჯვარს დიდის პატივით 27 წელიწადს ვატარებდი და თქვენც ისეთსავე ბედნიერებას გისურვებთ, როგორიც მე მხვდა წილადაო.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

22 მარტი

ლონდონი. „დეილი ტელეგრაფ"-ს სეულიდან ატყობინებენ, რომ იაპონიის ფლოტი პორტ-არტურს დარაჯობსო. იაპონელებს მაინც იმედი აქვთ, ალყა შემოარტყან პორტ-არტურს.

„დეილი მეილ"-ს პიონიანიდან დეპეშით ატყობინებენ, რუსები მდინარე იალუს შესართავიდან 75 მილის მანძილზე არიან გამაგრებული, ცხენოსანი ჯარი კი იჩჟუში მოგროვილიო.

„დეილი ქრონიკლ"-ი იუწყება, იაპონელებმა ჩიონსუმდე მიაღწიესო.

„სტანდარტ"-ს ატყობინებენ ჩიფუდან, ჩინელები იაპონელებისათვის ნავებს ქირაობენ დადუნგოუში ბარგის გადასაზიდადაო.

„დეილი მეილ"-ის კორესპონდენტი იუწყება: ჩიონჩუსთან მომხდარ ბრძოლის დროს 30 იაპონელი მოჰკლესო. კასანთან ერთი იაპონელი მაიორი და 30 ჯარის-კაცი თავიანთ პოზიციებს მოჰშორებიან და ტყვედ ჩაჰვარდნიან რუსებს.

შანჰაიდან იტყობინებიან, იაპონიის ჯარმა ნიუჩუანისა, ანდუნისა, გირინისა და ვლადივასტოკის მხრიდან ერთბაშად გაილაშქრა რუსის ჯარის წინააღმდეგაო. დაგუშანის ახლო 105 ათასი იაპონელი ჯარის-კაცი გადავიდა, ჩრდილოეთ-დასავლეთ კორეიაში 40 ათასი, მესამე არმია კი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ კორეიაში გადავიდა.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 მარტი

ბაზრა. 21 მარტს ოლდენბურგის პრინცის ალექსანდრე პეტრეს ძის თანადასწრებით აკურთხეს კურინის პოლკის როტის კაზარმის შენობა. მშვენიერი შენობაა, ახალი ტიპის საბანაო, სადაც შეიძლება სარგებლობა თბილისა, ცივისა, ზღვისა და დაწმენდილ წყლით. სეზონი დაიწყო. ხალხი მოდის.

სოფია. საქმის მცოდნე წრეების აზრით, საბერძნეთის სადიპლომატო აგენტის მიერ სტამბოლში წარდგენილი მოხსენება მითვლით პატრიარქის საჩივრისა გამო, ვითომ ბოლგარელები ბერძნებს ავიწროვებდნენ, აგრეთვე გავრცელებული ხმა, ვითომ მაკედონელთა კომიტეტებს აზრად ჰქონდეთ, თავს დაეცნენ ჟანდარმერიის რეორგანიზაციისათვის არსებულ კომისიას, ის აზრი აქვს, რომ ხელი შეუწყოს ბერძნების მისწრაფებათა პროპაგანდას, რათა ბოლგართათვის სასარგებლო რეფორმების შემოღება მაკედონიაში შეაფერხონ. სამოქალაქო აგენტების უკანასკნელ თათბირზე ჰილმი-ფაშამ განაცხადა, რადგან სალონიკში ჟანდარმერიის რეორგანიზაციის საქმე კარგად მიდის, სალონიკს წავალო.

სამოქალაქო აგენტებმა ბოლგარიის მცხოვრებთა სხვა და სხვა მოთხოვნა წარუდგინეს ოსმალეთს. ჰილმი-ფაშა სთხოვს პორტას დამატებით კრედიტს, რათა დააკმაყოფილოს იმ პირთა საჩივრები, რომელნიც შარშან მომხდარ აჯანყების დროს დაზარალდნენ.

ნიუ-იორკი. ოგიოს შტატსა და ინდიანის შტატის ჩრდილოეთ ნაწილიდან იტყობინებიან, რომ დიდი წყალდიდობა იყოო.

სტამბოლი. („კორესპ. ბიურო"). როგორც სჩანს, ბოლგარია-ოსმალეთ შორის არსებული მოლაპარაკება ისევ ცუდად მიდის, თუმცა ბოლგარიის მთავრობა მოლაპარაკების დროს ბევრს უთმობს. ამის გამო პოლიტიკოსთა წრეები ძლიერ შეშინებულნი არიან. 16 მარტს წარმოდგენილ პორტის პასუხზე რუსეთ-ავსტრიის ელჩებმა 21 მარტს ჩააბარეს თავისი პრემომერია, რომელშიაც ელჩები მტკიცედ ადგანან თავის მოთხოვნილებათ ჟანდარმერიის რეორგანიზაციისა, უცხოელ აფიცრებისა და უნტერ-აფიცრების განსაზღვრულ რაოდენობის შესახებ.

ბერლინი. „ნორდ. ალგ. ცაიტ."-ი აცხადებს, რომ იმპერატორი ვილჰელმი ეხლა კარგადაა. იმპერატორი იმ აზრით მოგზაურობს, რომ სრულიად განიკურნოს.

მადდალინა. კრეისერები „ფარესე" და „უმბრია" ბარცელონას წავიდნენ, რათა მეფე ალფონსს მიესალმნენ.

22 მარტი

იოჰანე -ბურგი („რეიტ. სააგ."). აქამდის შავის ჭირით მოკვდა 7 თეთრკანიანი და 63 შავკანიანი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

სასტუმრო **იალტა** ნომრებით

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქ. კუთხეში. სადილი **ორი** თავით, ჰიქა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 50 კ. უსასმელებოთ და უყავოთ 30 კ. სადილი **სამი** თავით, ჰიქა არაყით, ½-ბოთ. ღვინით და ფინჯანი ყავით 75 კ. ღვინო ბოთლი 30 კ. და ძვირფასიც. თვიურათ იაფათ და ეძლევათ აბონიმენტები. სადილია 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. საღ.

(88—52—14)

სამატოგა
საუკეთესო

საკვები და გამაღონიერებელი, მადის მომგვრელი საშუალება

სნეულებისა და სუსტებისათვის,

რომელნიც ცუდათ იკვებებიან; ბავშვებისათვის, რომელნიც ინგლისურ სენით არიან ავადმყოფნი; აგრეთვე დედებისათვის, რომელნიც ბავშვებს ძუძუს აწოვებენ; ყველა იმათთვის, ვისი კუჭიც ცუდად მუშაობს.

ისყიდება ყველა აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიაში.

ლიტერატურა და ბროშიურები ამ საშუალების შესახებ მსურველს უფასოდ გაეგზავნება ფრიდრ. ბაიერისაგან მოსკოვსა და პეტერბურგიდან. (ნ. მც. V 1—1)

თმის სალებავი
ნივეზის
ექსტრაქტიდან
№ 4711

ჭაღარა თმასა, გინდა ქერას მოკლე ხანში სასურველად ჰღებავს, როგორც გსურთ: გინდ ღია ფერად, გინდ შავად. რამდენად უფრო ხშირად იხმართ ამ საღებავს, იმდენად უფრო გაშავდება თმა და ამიტომ გაჭაღარავებულს კაცს მალე შეუძლია წინანდელი შავი ფერი დაუბრუნოს თმას.

№ 4711 თმის საღებავი ნივეზის ექსტრაქტიდან უპირატესობის ღირსია ყოველგვარ სხვა საღებავებთან, რადგან მავნე არაფერი ურევია შიგ.

ნება დართულია ლიფლიანდიის საგუბერნიო მმართველობის საექიმო განყოფილებისაგან № 2753 1896 წლის 12 ოქტომბერს.

ფერდ. მიულგენსი
კელნი რეინზე და რიგა
მის უდიდებულესობის სასუფრისათვის სხვა და სხვა მასალის დამმზადებელი. (მც. 9—9)

პატარა კახი

საუკეთესო კახური ღვინის საწყობი დათი
როსტიაშვილისა.

პატივი მაქვს ვაუწყო ყოველს მუშტარს: მომა
დღესასწაულისათვის გადავწყვიტე ფას დაკლებ
მივაწოდო მუშტართ ღვინო: ბოთლი—10 კ.—დან
ათშაურამდის, თუნგი 50 კ.—დან ორ მანეთამდის.
ჩემი ადრესი: ქალაქის მეათე ნაწილი, მალაკნე
მოედანი, სახლი ზოლნიკოვისა № 115.

დ როსტიაშვილი (4—109—1)

დ-რის შინდლერ-ბარნაის
„მარიენბადის რედუქციური აბები"
წინააღმდეგ
სიმსუქნისა
და საუკეთესო საფაღარათო საშუალება.
ნამდვილი აბები იყიდება მხოლოდ
წითელ კოლოფებში,
რომელშიაც აწყვია დარიგება, თუ როგორ
იხმარება ეს წამალი, დაწერილი რუსულად,
ფრანგულად და გერმანულად.
ისყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიებში. (ნ. 26—17)

სიბრძნე-სიცრუე
ახალი გამოცემა
იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

ნავთის სამრეწველო ამხანაგობის
„შხტა"-ს

გამგეობა იწვევს ბ-ნთ პაის პატრონთ წლიურ საზოგადო ჩვეულებრივს კრებაზე, რომელიც უნდა მოხდეს სამშაბათს, ამა მარტის 30-ს, საღამოს 8 საათზე ტფილისის საქალაქო საბჭოს დარბაზში.

განსახილველი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება ანგარიშისა მე-2 სამოქმედო წლისა ორ-ნაწილად (1902 წლის 1-ლ მარტიდან 1903 წლის 1-ლ ივლისამდე და 1903 წ. 1-ლ ივლისიდან 1904 წ. 1-ლ იანვრამდე).
2) განხილვა და დამტკიცება ხარჯთ-აღრიცხვისა 1904 წლისათვის.
3) სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4). კ. ი. ხატისოვის მოხსენება დაჯილდოვების შესახებ და
5) არჩევანი სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და ორის მათის კანდიდატისა.

თუ პაის პატრონთა კანონით საკმაო რიცხვი არ გამოცხადდა, მეორე კრება, რომელიც კანონიერი იქნება, რამდენი პაის პატრონიც არ გამოცხადდეს, დაინიშნება კვირას, 4 აპრილისათვის, 10 ს. იქვე. (1—1)

საყურადღებო განცხადება

თუმცა პასკებს ბევრნი აცხობენ, მაგრამ ჯერ ბევრს არა აქვს შესწავლილი ნამდვილი ხელოვნება პასკების კარგად გამოცხობისა, რის გამოც მყიდველი ხშირად სტყუვდება; ამისათვის მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ

არ. ივ. ალიხანოვის
საკანდიტეროში
(ვარანცოვის ძეგლთან)

სააღდგომოდ მზადდება დიდძალი პასკები და კულიჩები.

ჩემს სახელოსნოში პასკები საუკეთესო მასალისაგან კეთდება და ყოველთვის საუკეთესო გემოვნება აქვს, რაშიაც პატივცემული საზოგადოება ძლიერ ადვილად დარწმუნდება. გთხოვთ არ დაუჯეროთ არავის: მარტო ჩემს საკანდიტეროში იშოვება ჩემი პასკები და არსად გასასყიდად არ ვაძლევ.

Дрожжевой заводъ К. ШУРЪ.

პატივისცემით **არ. ივ. ალიხანოვი.**

ტელეფონი № 276. (2—106—2).



საათის საწყობი
იულიუს გენესი
ტფილისი, დვარცოვი ქუჩა.

მივიღეთ მრავალი საათი—კედლისა და სტოლისა. ყოველთვის მრავლადა გვაქვს ყოველგვარი საათი ჯიბისა შვეიცარიის საუკეთესო ქარხნებისა. საწყობი ჰკისრულობს აგრეთვე საათების შეკეთებას, რაიცა სწრაფად და პირიანად სრულდება. ფასი ყველა საქონელზე ზომიერია.

პრეის-კურანტი მოთხოვნილებისათანავე მსურველს უსასყიდლოდ ეგზავნება. (25—6.—5)

ტელეფონი № 978. სამოდო-სამანუფაქტურო მაღაზია ტელეფონი № 978.
„მოდერნ"
ტფილისი, გოლოვინსკი პროსპ., სახლი სტეფანოვისა, 16.

მუდამ შეიძლება აარჩიოთ ბევრგვარი საქონელი **რუსეთისა და საზღვარ-გარეთისა:—შალისა** და **აბრეშუმისა** და **ბამბეულის ყოველგვარი ქსოვილები**, აგრეთვე სუფრის თეთრეული, აბრეშუმის იუბკები და კოფთები, პლიუშის სტოლის საფრები, ხავერდის ხალიჩები და სხვა. ფასები გადაჭრილია, ისყიდება შეუვაჭრებლად. (6—1)

Доз. ценз. Тифлисъ 22 марта 1904 г.   ელექტრონის სტამბა, წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა   (Электропеч. Груз. Издат. Т—ва.